



საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი

2018 წელი

I. ზოგადი დებულებები

- 1.1. პროფკავშირული ორგანიზაცია იქმნება საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის (შემდგომში პროფესიული კავშირი) საწესდებო მიზნებისა და ამოცანების განხორციელების, პროფესიული კავშირი წევრთა შრომითი, სოციალ-ეკონომიკური, პროფესიული და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით და წარმოადგენს პროფესიული კავშირის განუყოფელ ნაწილს;
- 1.2. პროფკავშირული ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული კავშირის წესდებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.
- 1.3. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების (საკანონმდებლო, სამთავრობო, სასამართლო ხელისუფლების), მათ სტრუქტურებში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში, სახელმწიფო კონტროლის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში თუ მასში მუშაობს არანაკლებ სამი პროფკავშირის წევრი;
- 1.4. დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, რომელშიც არ არის შექმნილი პროფკავშირული ორგანიზაცია პროფესიული კავშირის რიგებში მიღებას ახორციელებს შესაბამისი გაერთიანებული, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკური ორგანიზაციის ან პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანო და პროფკავშირის რიგებში მიღებისთანავე იღებს დადგენილებას პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის დაფუძნების პროფკავშირული კრების მოწვევის და არჩევნების ჩატარების თაობაზე.
- 1.5. პროფკავშირული ორგანიზაციის დაფუძნების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული კავშირის წევრთა კრება;
- 1.6. პროფკავშირული ორგანიზაცია არ არის ანგარიშვალდებული სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოების, დამსაქმებელთა, მათი გაერთიანებების წინაშე, არ ექვემდებარება მათ კონტროლს და მათთან თანამშრომლობის სოციალური პარტნიორობის საფუძველზე.
- 1.7. პროფკავშირული ორგანიზაცია დამოუკიდებლად წყვეტს შიდა ორგანიზაციულ და ფინანსურ საკითხებს წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით პროფესიული კავშირის წესდებით, პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით და ამ დებულებით დელეგირებულ ფარგლებში;
- 1.8. საქართველოს საკანონმდებლო, სამთავრობო და სასამართლო ხელისუფლების პროფკავშირული ორგანიზაციები წარმოადგენენ პროფესიული კავშირის უშუალო სტრუქტურულ ქვედანაყოფებს;
- 1.9. საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის წესდების საფუძველზე მოქმედი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები რეგისტრაციას არ ექვემდებარებიან;

1.10. პროფკავშირული ორგანიზაცია რეგისტრაციას გადის პროფესიული კავშირში ან მის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფში (გაერთიანებული, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკური ორგანიზაცია) დადგენილი წესის შესაბამისად.

1.11. პროფკავშირულ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს პროფესიული კავშირის გამგეობის მიერ დაწესებული ნიმუშის მრგვალი ბეჭედი, ბლანკი და მიმდინარე საბანკო ანგარიში.

1.12. პროფკავშირული ორგანიზაციის სამუშაო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზური და ქართული.

II. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები

2.1. პროფორგანიზაციის ძირითადი მიზნებია:

ა) პროფესიული კავშირი საწესდებო მიზნების განხორციელება;

ბ) პროფესიული კავშირის წევრთა (შემდგომში წევრთა) შრომითი, სოციალურ ეკონომიკური, პროფესიული, სამართლებრივი უფლებების და ინტერესების დაცვა და მათი წარმომადგენლობა;

გ) სისტემური და თანმიმდევრული ზრუნვა წევრთა ცხოვრების დონის ამაღლების, შრომის სამართლიანი, ღირსეული ანაზღაურების, მატერიალური უზრუნველყოფის მისაღწევად, ჯანსაღი, უსაფრთხო სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, დასაქმების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

დ) მონაწილეობა წევრთა პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში;

ე) წევრთა ინტერესების წარდგენა და დაცვა დამსაქმებელთან, მასთან კოლექტიური მოლაპარაკების წარმოება და კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება;

ვ) წევრთა კონსოლიდაცია და საქმიანობის კოორდინაცია, პროფესიული სოლიდარობის განმტკიცება;

ზ) ორგანიზაციული და ფინანსური განმტკიცება.

2.2. პროფკავშირული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანებია:

ა) პროფესიული კავშირის საწესდებო და საპროგრამო ამოცანების რეალიზება;

ბ) წევრთათვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების, გარანტიებისა და შეღავათების სრული რეალიზება, მათი გაუმჯობესება დამსაქმებელთან გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულებით;

გ) მუდმივი კონტროლის განხორციელება კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე და მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

დ) მონაწილეობა შრომის ნორმების დადგენაში, შრომის ანაზღაურების სისტემის, მატერიალური წახალისების ფორმების, სატარიფო განაკვეთების და სარგოების ოდენობის განსაზღვრაში;

ე) დამსაქმებლის წინაშე იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომლებიც არღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, რეაგირებას არ ახდენენ პროფკავშირული ორგანიზაციის კანონიერ მოთხოვნებზე და წინადადებებზე;

ვ) მონაწილეობა დაწესებულების, ორგანიზაციის მმართველობის კოლექტიური ორგანოების მუშაობაში, დამსაქმებლის მიერ შრომით სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე გამოსაცემი ბრძანებების, განკარგულებების პროექტების წინასწარ განხილვაში, ალტერნატიული წინადადებების შემუშავებაში;

ზ) მონაწილეობა დაწესებულების, ორგანიზაციის მოხელეთა საკონკურსო კომისიების მუშაობაში, შრომის შინაგანაწესის შემუშავებაში;

თ) პროფესიული კავშირის წესდებით და ამ დებულებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება, საჯარო განცხადებების, გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით;

ი) ზრუნვა დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან გამოთავისუფლებულ მუშაკთა სოციალური დაცვისათვის;

კ) კონტროლი მოქმედი კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობაზე, გამოვლენილი დარღვევების თაობაზე დამსაქმებელთა ინფორმირება, ზრუნვა მათი აღმოფხვრისათვის, მონაწილეობა კოლექტიური და ინდივიდუალური დავის მოწესრიგებაში.

III. პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციაში პროფესიული კავშირის წევრის უფლებები და მოვალეობები

3.1. პროფესიული კავშირის წევრად მიღების წესები და პირობები რეგულირდება პროფესიული კავშირის წესდების მე-3 თავის შესაბამისად.

3.2. პროფკავშირულ ორგანიზაციაში პროფესიული კავშირის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვაში კრებებზე, კონფერენციებზე, გამოთქვას თავისი აზრი, შეიტანოს წინადადება, გააკრიტიკოს პროფკავშირული ორგანო და თანამდებობის პირი;

ბ)აირჩიოს, წარადგინოს თავიანთი კანდიდატურა და არჩეულ იქნას, პროფკავშირული ორგანიზაციის მუდმივმოქმედ წარმომადგენლობით (არჩევით) ხელმძღვანელ ორგანოში;

გ)თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს პროფორგანიზაციის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით;

დ)მიმართოს პროფორგანიზაციის წარმომადგენლობით (არჩევით) ხელმძღვანელ ორგანოს შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული, სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, მოითხოვოს მისგან მხარდაჭერა და სოლიდარობა;

ე)მიიღოს პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოდან უფასო ან შეღავათიანი იურიდიული დახმარება დამსაქმებელთან ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავის დროს, მოითხოვოს დაცვა შრომითი დავის განმხილველ ორგანოებსა და სასამართლოში;

ვ)მიიღოს პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი შეღავათები და კომპენსაციები;

ზ)ისარგებლოს პროფკავშირული ორგანიზაციის სახსრებით, ქონებით, გახდეს პროფორგანიზაციის მიერ შექმნილი ფონდის წევრი.

3.3. პროფკავშირულ ორგანიზაციაში პროფესიული კავშირის წევრი ვალდებულია:

ა)დაიცვას პროფესიული კავშირის წესდებით, ამ დებულებით და წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ)შეასრულოს პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები და დავალებები;

გ) განამტკიცოს პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა;

დ) დაიცვას კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების პირობები;

ე) გადაიხადოს პროფესიული კავშირის წესდებით დადგენილი ოდენობით საწევრო შენატანი;

ვ) მონაწილეობა მიიღოს პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში;

ზ) არ განახორციელოს ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას და სახელს გაუტეხს მას.

3.4. პროფესიული კავშირის წევრად დარჩენის უფლება და წევრობის შეწყვეტა რეგულირდება პროფესიული კავშირის წესდების 3.7 და 3.8 მუხლებით.

IV. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპები

4.1. პროფკავშირული ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს პროფესიული კავშირის წესდების მე-4 თავით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანების და საქმიანობის ძირითადი პრინციპების საფუძველზე.

თავი V. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის სტრუქტურა

5.1. პროფკავშირული ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც აღრიცხვაზეა პროფკავშირის 15 წევრზე ნაკლები იქმნება პროფკავშირული ჯგუფი, რომელიც ირჩევს პროფორგანიზატორს, ხოლო სტრუქტურული ერთეული, სადაც აღრიცხვაზეა პროფკავშირის 15 და მეტი წევრი მეტი ირჩევს პროფკავშირის კომიტეტს, თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს და საკონტროლო-სარევიზიო კომისიას.

5.2. პროფკავშირული ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა საანგარიშო-საარჩევნო კრება (კონფერენცია), რომელიც ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ, ხოლო მიმდინარე კრება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

5.3. კონფერენციაზე დელეგატთა წარმომადგენლობის ნორმებს განსაზღვრავს პროფესიული კავშირის გამგეობა ან პროფკავშირის კომიტეტი პროფკავშირის წევრთა რიცხოვნობის მიხედვით.

5.4. საანგარიშო-საარჩევნო კრება, კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს პროფკავშირის წევრთა ან დელეგატთა ორი მესამედი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

5.5. პროფკავშირული ორგანიზაციის რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო კრება, (კონფერენცია) შეიძლება მოწვეულ იქნეს:

ა) პროფესიული კავშირის გამგეობის ან თავმჯდომარის ინიციატივით;

ბ) პროფკავშირის კომიტეტის ინიციატივით;

გ) პროფესიული კავშირის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

5.6. პროფკავშირული ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატები არიან რიგგარეშე კონფერენციის დელეგატები.

5.7. პროფკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება (კონფერენცია):

ა) ისმენს პროფკავშირის კომიტეტის ანგარიშს და შეფასებას აძლევს მას;

ბ) ისმენს, იხილავს და ამტკიცებს საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიშს;

გ) განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

დ) განსაზღვრავს არჩევნების ჩატარების ფორმას (დახურული, ღია) და წესს;

ე) ირჩევს პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის წარდგინებით მოადგილეს (მოადგილეებს);

ვ) განსაზღვრავს პროფკავშირის კომიტეტის წევრთა რაოდენობას და ირჩევს პროფკავშირის კომიტეტის შემადგენლობას;

ზ) განსაზღვრავს საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობას, ირჩევს კომისიის შემადგენლობას და შემადგენლობიდან თავმჯდომარეს (ხაზინადარს, სადაც აღრიცხვაზეა 15 წევრზე ნაკლები);

თ) სტრუქტურული დაქვემდებარების მიხედვით ირჩევს პროფესიული კავშირის კონგრესის, გაერთიანებული, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკური ორგანიზაციის დელეგატებს.

5.8. პროფკავშირის კომიტეტი:

ა) წარმართავს პროფკავშირული ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობას საანგარიშო - საარჩევნო კრებებს (კონფერენციებს) შორის პერიოდში;

ბ) იცავს პროფესიული კავშირის წევრთა უფლებებსა და ინტერესებს დამსაქმებელთან, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;

გ) აწარმოებს დამსაქმებელთან მოლაპარაკებებს, შეიმუშავებს, დებს მასთან კოლექტიურ ხელშეკრულებას და კონტროლს უწევს მის შესრულებას;

დ) ახორციელებს საზოგადოებრივ კონტროლს შრომის კანონმდებლობის, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, სოციალური უზრუნველყოფის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი გარანტიების შესრულებაზე;

ე) ისმენს დამსაქმებლის წარმომადგენლების ინფორმაციებს წევრთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე;

ვ) აწესრიგებს წევრთა აღრიცხვას;

ზ)ამტკიცებს ბიუჯეტს (ხარჯთაღრიცხვას), იხილავს მისი შესრულების მიმდინარეობას.

- 5.9. პროფკავშირის კომიტეტი უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომიტეტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას ხმა მისცა დამსწრეთა ნახევარზე მეტმა;
- 5.10. პროფკომიტეტის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ოთხ თვეში ერთხელ.

VI. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები

- 6.1. პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები არჩევის შემდეგ ავტომატურად ხდებიან პროფკომიტეტის წევრები.
- 6.2. პროფორგანიზაციის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები არიან მორიგი (რიგგარეშე) კონფერენციის დელეგატები.

6.3. პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საანგარიშო-საარჩევნო კრების (კონფერენციის), პროფკომიტეტის, სამდივნოს დადგენილებების შესრულებას;

ბ) ხელმძღვანელობს პროფესიული კავშირის საწესდებო მოთხოვნების, პროფესიული კავშირის და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უმაღლესი და წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებების შესრულებას;

გ) ხელმძღვანელობს პროფკომიტეტის საქმიანობას;

დ) წარმოადგენს პროფორგანიზაციას, პროფესიული კავშირის წევრებს, დამსაქმებელთან, თანამდებობის პირებთან და სხვა ორგანოებთან ურთიერთობებში;

ე) მუდმივად ზრუნავს პროფორგანიზაციის ორგანიზაციულ და ფინანსურ განმტკიცებისათვის, პერსონალურად აგებს პასუხს საწევრო შენატანების სრული ოდენობით აკრეფაზე და მათ (100%-ს) დროულ გადარიცხვაზე პროფესიული კავშირის ერთიან ანგარიშზე;

ვ) განკარგავს პროფორგანიზაციის ქონებასა და ფულად სახსრებს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის, პროფესიული კავშირის გამგეობის მიერ დადგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

ზ) წარმართავს პროფკავშირის კომიტეტის საქმიანობას და ხელმძღვანელობს საანგარიშო-საარჩევნო კრების, კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებას;

თ) ხელს აწერს პროფკავშირის კომიტეტის ოქმებს, დადგენილებებს, ხელშეკრულებებს, წერილებს, მიმართვებს, კორესპონდენციას, საფინანსო დოკუმენტებს;

ი) ასრულებს პროფესიული კავშირის წესდებით, ამ დებულებით, პროფესიული კავშირის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკური ორგანიზაციის) წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6.4. პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ხელმძღვანელობენ პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის ცალკეულ, ძირითად მიმართულებებს.

6.5. პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას, თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე.

6.6. საანგარიშო-საარჩევნო კრებებს (კონფერენციებს) შორის პერიოდში, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, საწესდებო მოთხოვნების დარღვევების, ფუნქციონალური მოვალეობების შეუსრულებლობის, ქმედუუნარობის ან ხანგრძლივი (6 თვეზე მეტი) ავადმყოფობის გამო, ხორციელდება თავმჯდომარის წარდგინებით პროფკავშირის კომიტეტის მიერ, რომელიც თავმჯდომარის წარდგინებით კომიტეტის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს.

6.7. საანგარიშო-საარჩევნო კრებებს (კონფერენციებს) შორის პერიოდში პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, საწესდებო მოთხოვნების უხეში დარღვევების, ქმედუუნარობის ან ხანგრძლივი (6 თვეზე მეტი) ავადმყოფობის გამო, ხორციელდება, მხოლოდ პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების მიერ, რომელიც მორიგ კრებამდე, (კონფერენციამდე) თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს ნიშნავს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

6.8. პროფკავშირული ორგანიზაციის გათავისუფლებული თავმჯდომარის თანამდებობის შემოღების (გაუქმების) და თავმჯდომარეების შრომის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული კავშირის გამგეობა დამტკიცებული ნორმატივების საფუძველზე;

VII. პროფკავშირული ორგანიზაციის საკონტროლო-სარევიზიო კომისია

- 7.1. პროფკავშირული ორგანიზაციის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოა საკონტროლო-სარევიზიო კომისია (შემდგომში კომისია), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საკონტროლო-სარევიზიო კომისიის დებულების შესაბამისად.
- 7.2. კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას ირჩევს პროფკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება ან კონფერენცია.
- 7.3. კომისიის დადგენილება სავალდებულოა შესასრულებლად პროფკავშირის კომიტეტისთვის.
- 7.4. კომისიის თავმჯდომარე არის მორიგი კრების, კონფერენციის (რიგგარეშე) დელეგატი.
- 7.5. კომისია თავისი საქმიანობის თაობაზე ანგარიშს აბარებს პროფკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას ან კონფერენციას.

VIII. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ქონება და საფინანსო საქმიანობა

- 8.1. პროფკავშირული ორგანიზაციის სახსრების ფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენს პროფესიული კავშირის წევრთა საწევრო - შენატანები, შემოწირულობები, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამეურნეო-კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა შემოსავლები.
- 8.2. პროფკავშირის წევრის ყოველთვიური საწევრო შენატანის ოდენობა განისაზღვრება პროფესიული კავშირის წესდების 7.5 მუხლის ე) პუნქტის და 10.3 მუხლით, ხოლო გადახდის წესი 10.4 და 10.6 მუხლების შესაბამისად.
- 8.3. პროფკავშირული ორგანიზაციის თანხები ხმარდება სსმპ-ის წესდებით და ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციისათვის პროფესიული კავშირის გამგეობის მიერ დადგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
- 8.4. პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციასა და პროფესიულ კავშირს შორის საწევრო-ანარიცხების განაწილება რეგულირდება პროფესიული კავშირის წესდების 7.5 მუხლის ე) პუნქტით და 10.5. მუხლის შესაბამისად.
- 8.5. პროფკავშირული ორგანიზაცია დადგენილი წესით ხსნის ანგარიშს ბანკში, ყოველწლიურად ადგენს ხარჯთაღრიცხვას და წარადგენს საფინანსო ანგარიშს სტრუქტურული დაქვემდებარების შესაბამისად გაერთიანებულ, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკურ ორგანიზაციაში ან პროფესიულ კავშირში.

- 8.6. პროფკავშირული ორგანიზაცია, სადაც პროფკავშირის წევრთა რაოდენობა მცირეა (15-ზე ნაკლები), არ ხსნის საბანკო ანგარიშს და საწევრო ანარიცხებს სრული ოდენობით გადარიცხავს შესაბამის გაერთიანებულ, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკურ ორგანიზაციაში ან პროფესიულ კავშირში.
- 8.7. პროფკავშირულ ორგანიზაციას პროფესიული კავშირის წევრთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად შეუძლია შექმნას სპეციალური ფონდი.

IX. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა

- 9.1. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პროფესიული კავშირის ან მისი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით, თუ პროფესიული კავშირის წევრთა რაოდენობამ შეადგინა 3-ზე ნაკლები, ან დაწესებულებამ საქმიანობა შეწყვიტა, რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების) ან ლიკვიდაციის შედეგად.
- 9.2. პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა გაერთიანებულ, მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკურ ორგანიზაციას ან პროფესიულ კავშირს.

X. დასკვნითი ნაწილი

- 10.1. წინამდებარე დებულების ან მისი ცალკეული მუხლების განმარტების უფლება ეკუთვნის საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირს.